

ეფემერები და ეფემეროიდები არიდულობის გრადიენტის გასწვრივ საქართველოს სტეპის ზონაში

არჩილ ჯაფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (Msc) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

(მიმართულება : ბუნებათსარგებლობა (msc))

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: არჩილ ჯაფარძე

თარიღი: 15.01.2019

სარჩევი

აბსტრაქტი.....	5
1. შესავალი.....	4
1.1. აქტუალობა.....	4
1.2. კვლევის მიზანი.....	5
1.3. საკვლევი საკითხები.....	5
1.4. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
1.4.1. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებები არიდულ ეკოსისტემებში.....	6
1.4.2. მცენარეები, როგორც კლიმატური პირობების ბიონდიკატორები.....	6
2. მეთოდოლოგია	7
2.1. საკვლევი არე: აღმ. საქართველოს სემი-არიდული ჰაბიტატების არეალი.....	7
2.2. მონაცემთა ბაზა და მონაცემთა ანალიზი.....	11
3. შედეგები.....	16
4. შედეგების ინტერპრეტაცია / დისკუსია.....	21
5. დასკვნები და რეკომენდაციები.....	23
6. ბიბლიოგრაფია.....	23

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო საქართველოს სტეპის ეკოსისტემის ეფემერების და ეფემეროიდების გავრცელებაზე ბიოკლიმატური ფაქტორების გავლენის შესწავლა და ამ მცენარეთა კლიმატის ცვლილების ბიოლოგიური ინდიკაციისათვის გამოყენების პოტენციალის გამოვლენა.

კვლევისათვის შევარჩიეთ საქართველოს სტეპთან ასოცირებული 11 ერთლებნიანი მცენარე; კერძოდ, თეროფიტი *Asphodeline prolifera* (M.Bieb.) Kunth. და გეოფიტები: *Allium rubellum* M.Bieb., *Sternbergia colchiciflora* Wadst & Kit., *Bellevalia montana* (K.Koch) Boiss., *Muscaricaucasicum* (Griseb.) Baker, *Muscarineglectum* Guss. ex Ten., *Ornithogalum navaschinii* Agapova, *Iris caucasica* Steven, *I. iberica* Steven, *I. pumila* L., *Tulipaeichleri* Regel.

კორელაციური ანალიზის შედეგები სახეობათა ერთიან ჯგუფში კორელაციის კოეფიციენტის ყველაზე მაღალ სარწმუნო მაჩვენებლებს ორივე დამოკიდებული ცვლადისთვის ($r > 0.7$; $p < 0.01$) გვაძლევს **Bio3**-ისა და **Bio6**-ის შემთხვევაში, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საკვლევი სახეობების გავრცელებას განსაზღვრავს ეს ორი ბიოკლიმატური ფაქტორი.

საკვლევი სახეობებიდან ყველაზე მაღალი პოტენციალი კლიმატის გლობალური ცვლილების ბიოინდიკაციისათვის აქვს კავკასიურ ზამბახს (*Iris caucasica*) რომელიც კარგი ინდიკატორის კრიტერიუმების დიდ ნაწილს პასუხობს.

შესავალი

1.1 აქტუალობა

სტეპი საქართველოს არიდული ეკოსისტემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი (კეცხოველი, 1960; Nakhutsrishvili, 1999, 2013), ხოლო ერთწლოვანი ეფემერები (თეროფიტები) და მრავალწლოვანი ეფემეროიდები (გეოფიტები), ზოგადად არიდული და სემი-